ოქმი:**ო37. 3723361001**

თარიღი:**27/12/2023**

ოქმი N 26

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 25
დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა**-** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ჭაკნელიძე,

გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე ლ. ბიგვავა მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.47.199, ს.კ. 26.26.47.198, ს.კ. 26.26.47.197, ს.კ. 26.26.47.195, ს.კ. 26.26.47.194, ს.კ. 26.26.47.196, ს.კ. 26.26.47.193, ს.კ. 26.26.47.192, ს.კ. 26.26.47.189, ს.კ. 26.26.47.202, ს.კ. 26.26.47.188, ს.კ. 26.26.47.127, ს.კ. 26.26.03.606, ს.კ. 26.26.48.094, ს.კ. 26.26.47.191, ს.კ. 26.26.47.190) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და

შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გელა ჩავლშვილი

თანამომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ „ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შენიშვნები მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ იქნა განხილული და შესაბამისად გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში, მერიაში კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევით წარმოდგენის გამო.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ეროდი გორდელაძე

საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს შესაბამისი დარგობრივი კომისიები(ქ. ხომერიკი, ე. გორდელაძე) განიხილავენ დადგენილების კორექტირებულ ვარიანტს და დასკვნას წარმოადგენენ საკრებულოს სხდომაზე.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N 52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაძე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწერა დარგობრივ კომისიებს (გ. გავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე).

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 429 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.N 26.05.38.161)სახელმწიფოსატვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწერა დარგობრივ კომისიას (დ. ჭაკნელიძე).

12. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ბ. თოიძე).

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის უზრუნველყოფის მიზნით დაეწერა შესაბამის დარგობრივ კომისიას(ე. გორდელაძე_) დადგენილი პროცედურების განხორციელების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,2,3,4,5,6,7,8.9,12,13 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N 10, 11.13 საკითხები დაეწეროს განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დარგობრივ კომისიებს: N 10(გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე); N 11(დ. ჭაკნელიძე); N 13(ე. გორდელაძე).

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი